

გაზა ფანასკერტი – მეცნიერი და ერთვნიური დამოუკიდებლობისთვის მებრძოდი



ფანასკერტი შუა საუკუნეების უმნიშვნელოვანესი ციხე–სიმაგრე იყო სამხრეთ საქართველოში, ისტორიულ იმერ ტაოში (ახლანდელი თურქეთის ტერიტორია). სამეფო სიმაგრის პირველი მფლობელი იყო აზნაური გაქარია ასპანისძე. ამ შესანიშნავი და დიდი ისტორიის მქონე კუთხის შვიდი იყო გაზა ციციშვილი– ფანასკერტი.

XV საუკუნის ქართველი პოლიტიკური მოღვაწე და მეცნიერი, ერთვნიური დამოუკიდებლობისა და ერთიანობისთვის მებრძოდი, ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ ქართლის მეფის კონსტანტინე II-ს სამსახურში ჩაღვა. XV საუკუნის 60-იან წლებში ციციშვილთა სათავედ უკვე ჩამოყალიბებული იყო. მათ ეკუთვნოდათ მამულები მძოვრეთისა და ნიჩბისის ხეობებში, ხვედურეთში. კონსტანტინემ გაზას დამატებით უწყალობა უფრისციხე, ქვახვრედი და კარადეთი. გაზას შვილს, ციცის კი – თავადობა. გაზას აღუდგენია ყინწვისის მონასტერი და მიუშენებია ეგვდერი.

გაზა ფანასკერტი-ციციშვილი – მხედართმთავარი და ბრძენთმთავარი, ასე მოიხსენიება ძველ თუ ახალ წყაროებში პიროვნება, რომელსაც

ქვეყნის წინაშე მიუძღვის დიდი ღვაწდი, როგორც იმ დროინდელი საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის, ასევე ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური წინსვლისათვის.



ზაზა ციციშვილი
– ფანასკერტელი

ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის მიერ შედგენილია ვრცელი სამედიცინო ნაშრომი “სამკურნალო წიგნი – კარაბაღინი”, რომელშიც განხილულია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მედიცინის საკითხები. ვტორი ძირითადად ემყარება ძველი ქართული სამედიცინო გამოცდილებას, ასევე ნაწილობრივ იყენებს უცხოენოვან ნაშრომებს.

ქართულ სამედიცინო აზროვნებას საკმაოდ მდიდარი და ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი ეფუძნება ეროვნულ-ხარხურ ტრადიციებს, რასაც ადასტურებს არქეოლოგიური მონაცემები, აგრეთვე ძველი მსოფლიოს ისტორიკოსთა შრომებში (მაგ. სტრაბონი), ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებში დადასტურებული ცნობები.

“კარაბადინი”



ფანასკერტელის “სამკურნალო წიგნი” პრაქტიკოს– ექიმთათვისაა გამიზნული. მასში მოკრედაა განხილული ზოგადი მედიცინის საკითხები, ანატომიურ-ფიზიოლოგიური ცნობები, დიაგნოსტიკური და კონკრეტულ დაავადებათა მკურნალობასთან დაკავშირებული მეთოდები. ძველი გარკვეულწარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელი ქირურგიისა და ფარმაციის დონეზე საქართველოში. მასში განიხილება სამკურნალო საშუალებათა 14 ძირითადი ფორმა და მათი 405 სახეობა.

“სამკურნალო წიგნი კარაბადინი” თავის დროზე საქართველოში უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა და ხაღხის საყვარელ წიგნად იყო მიჩნეული. იგი რამოდენაღერმე გამოიცა ჩვენ დროსაც.

1960 წელს გამოიცა “საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული”, სადაც განხილულია ფანასკერტელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორია. კრებულში საკმაოდ ადგილი ეთმობა ზამა ფანასკერტელის ცხოვრებას და მოღვაწეობას, აგრეთვე მის ცნობილ ნაშრომს “კარაბადინს”.